ბიზნეს გეგმა 100 სულ საფურაჟე ძროხაზე, მერძეული მიმართულებით

1. შესავალი;
1.1. დარგის საერთო მდგომარეობა;
2. ფერმის აღწერა;
3. პროდუქციის აღწერა;
4. დანერგილი ტექნოლოგიის აღწერა;
5. მარკეტინგის გეგმა;
5.1. ბაზრის ანალიზი;
5.2. ფასწარმოქმნა;
5.3. ბაზარზე კონკურენცია რძეზე და რძის პროდუქციებზე;
5.4. დარგის განვითარების პერსპექტივა;
5.5. ანალიზი;
6. საინვესტიციო გეგმა;
7. შესასრულებელი ოპერაციების გეგმა;
8. ფინანსური გეგმა;
9. პროექტის მდგრადობა და რისკებთან;
10. პროექტის რეზულტატი;
11. დასკვნა.

1. შესავალი

ამ პროექტის იდეა და მთელი აზრი მდგომარეობს შემდეგში:

ა) აღსდგეს და განვითარდეს ისეთი დარგი მეცხოველეობაში, როგორიც არის, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება და გამრავლება მერძეული მიმართულებით.

ბ) ჩატარდეს სასელექციო სამუშაოები, საქონლის პროდუქტიულობის ასამაღლებლად.

გ) დავნერგოთ ახალი, მსოფლიოში მიღებული თანამედროვე ტექნოლოგიები როგორც საქონლის კვების კუთხით, ასევე მოვლა-პატრონობის კუთხითაც.

1.1. დარგის საერთო მდგომარეობა.

დღეისათვის საქართველოში, ზოგადად სოფლის მეურნეობა არის, თითქმის ჩანასახოვან ფაზაში. განადგურებულია აქამდე არსებული მანქანა დანადგარები, ახალი არ გვაქვს როგორც სიძვირის გამო, ასევე სოფლის მეურნეობის უფუნქციობის გამო არ არის მათზე მოთხოვნა. განადგურებული ინფრასტრუქტურა, სასოფლო გზები, სასაწყობე მეურნეობები, სარწყავი სისტემა, დანგრეულია და გაძარცულია ფერმები და შენობები.

მეცხოველეობის დარგში, როგორც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მერძეული მიმართულებით, ასევე მეხორცული მიმართულებით, კულტურული მოშენება არის შეწყვეტილი. აღარ არსებობს ჯიშთა მომშენებელი მეურნეობები, აღარ წარმოებს საქონლის აღრიცხვიანობა, თითქმის არ ხდება ორგანიზებულ დონეზე კომბინირებული საკვების წარმოება, რომლის გარეშე მეცხოველეობის განვითარება წარმოუდგენელია.

ფაქტიურად მეცხოველეობა საქართველოში თუ ვითარდება, ვითარდება მეჯოგეობის დონეზე.

ჩემგან წარმოდგენილი ეს სურათი, არის სასწრაფოდ შესაცვლელი, რაშიც, თავისი წვლილი უნდა შეიტანოს პირველი რიგში მთავრობამ და ჩვენმა მოსახლეობამ, ბანკების დახმარებით.

2. ფერმის აღწერა

ფერმა შედგება ერთი შენობისაგან, რომელიც გათვლილი არის 100 სულ საფურაჟე ძროხაზე.

ფერმის ერთ გვერდს, ორივე ბოლოში აქვს მიდგმული, საწველი დარბაზი და დამხმარე სათავსოები.

ფერმის ზომებია: 90X13

დამხმარე სათავსოების: 12X9

საწველი დარბაზის, რძის შესანახ ოთახთან ერთად: 12X7

ფერმის სიმაღლე შუა წერტილში შეადგენს 5 მ. კედლების 2.90 მ. ფერმის ტერიტორიაზე არის განთავსებული სასილოსე ორმეობი, კომბინირებული და მარცვლეული საკვების შესანახი შენობა, საწუნწუხე, სადგომი სასოფლო ტექნიკისათვის, ადმინისტრაციული შენობა.

ფერმის კონსტრუქცია არის მსუბუქი, კედლები შეკრული არის ფიცრის ფარებისაგან (შიტებისაგან) ფერმა დგას ოთხ მწკრივად ჩაბეტონებულ ბოძებზე, გადახურულია შიფრით.

3. *პროდუქციის აღწერა.*

ფერმაში მიღებულ ძირითადი პროდუქტი იქნება, ნატურალური მაღალი ხარისხის რძე.

რძის გადამუშავების შედეგად - ყველის სხვადასხვა სახეობა, კარაქი, ხაჭო, პასტერიზებული რძე.

აგრეთვე საქონლის ხორცი.

4. *ფერმაში დანერგილი ტექნოლოგიის აღწერა*

ფერმა გათვლილი არის 100 სულ მეწველ ძროხაზე და 100 სულ მოზარდზე.

ფერმაში მირებულია საქონლის დაუბმელი მეთოდით ყოფნა. საქონლის მოსასვენებელი ადგილი შესდგება 3 მწკრივისაგან, მათ შორის არის განთავსებული სანაკელე არხები, საგანით 2,20; 2,70. ნაკელის არხები იწმინდება ბელარუსის ტიპის ტრაქტორებით, რომელიც იქნება აღჭურვილი ბულდოზერის დანით.

საქონლის კვება ხდება, ეგრეთ წოდებული საკვები მაგიდიდან, რომელთანაც, საქონელს შეეძლება შეუზღუდავად მისვლა და კვება. საქონელი ფერმაში თავისუფლად გადაადგილდებიან.

წყალს სვავენ წყლის ვანებიდან, რომლებიც დამონტაჟებული იქნება რამდენიმე სხვადასხვა ადგილზე. ვანები აღჭურვილი იქნება ტივტივით და დალევის შემდეგ, ავტომატურად აივსება.

საქონელს, საკვები მიეწოდება საკვების დამრიგებელით, რომელიც მიბმული იქნება ტრაქტორზე, ან ლიფტით.